საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1631/01
12/02/2020

1631-01-2-202002120932

შპს „ფოთი ფაუნდრის“
მის: ქ. ფოთი, მალთაყვის სანაპირო N7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ნოემბრის N16885 წერილი, რომელიც ეხება ქ. ფოთში, შპს ,,ფოთი ფაუნდრის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

აღნიშნულ პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 სექტემბრის ბრძანების (N2-850) შესაბამისად გაცემულია სკოპინგის დასკვნა (N91; 02.09.2019), რის შედეგადაც განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

ზემოაღნიშნულ პროექტზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

- გაუგებარია, გზშ-ის ანგარიშში ცხრილი 4.1.2-ით წარმოდგენილი მონაცემები (გვ. 206) ეხება საწარმოში გადასამუშავებლად მიღებულ ნარჩენებს, თუ ნარჩენების დამუშავების საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილ სხვა ნარჩენებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული დასამუშავებელი ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს დასამუშავებელი ნარჩენების აღდგენისა და განთავსების ოპერაციების კოდები და მათი აღწერილობა ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართის შესაბამისად;
- სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული სამრეწველო ობიექტების შესახებ ინფორმაცია ტერიტორიიდან დაშორების მანძილის მითითებით, გზშ-ის ანგარიშის „საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიის მიწათსარგებლობის შესახებ“ ცხრილში მოცემული მონაცემები, კერძოდ:

საპროექტო ტერიტორიიდან ობიექტების დაცილების მანძილები მითითებული არ არის და საჭიროებს დაზუსტებას.

- გზშ-ის ანგარიშში (თავი 4.2, გვ. 20) აღნიშნულია, რომ დასაქმებულთა მიახლოებითი რაოდენობა იქნება 10 ადამიანი, მაგრამ გზშ-ის ანგარიშის სხვა თავებში აღნიშნულია, რომ საწარმოში დასაქმდება 35 ადამიანი, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს სამუშაო რეჟიმი იქნება 300 სამუშაო დღე (თავი 4.4.8, გვ. 45), ასევე გზშ-ის ანგარიშში (თავი 4.4.5.1-წყალმომარაგების სისტემა, გვ. 43) საწარმოში არსებული ღუმელების გაგრილების სისტემისთვის წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა გაანგარიშებულია 250 სამუშაო დღის გათვალისწინებით (5მ^3/დღ.ღ.*250დღ.ღ/წელ=1250 მ^3/წელ), აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- გზშ-ის ანგარიშში (თავი 7.9-ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, გვ 145) არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის და სახეობების შესახებ, ასევე ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს როდის და რა სიხშირით მოხდება საწარმოში ჯართის რადიაციული მონიტორინგი საქართველოს მთავრობის 2014 წლის N756 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესის“ მიხედვით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მონიტორინგის კონკრეტული გეგმა საკონტროლო წერტილების კოორდინატების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილში 9.2 (გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-ექსპლუატაციის ეტაპზე) ჰაერის (მტვერი და გამონაბოლქვი) მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს საფარის/ფლორისა და ფაუნის მინიმალური შეშფოთება, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო აჩერებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებას. გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას განაახლებს მას შემდეგ, რაც შპს „ფოთი ფაუნდრი“ წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე